Цветовые прилагательные внутри устойчивых словосочетаний могут иметь классифицирующую функцию в тех случаях, когда разные прилагательные сочетаются с одним и тем же словом предметного значения. Таким образом, возникают многие устойчивые сочетания именного типа (weisser Wein — белое вино, roten Wein — красное вино) и резкие качественные противопоставления (rote Presse — передовая, революционная пресса, gelbe Presse — бульварная, желтая пресса). Другая функция цветовых прилагательных — это усилительная функция, которая подчеркивает выражаемое качество или свойство (blaues Donnermaul — проклятая болтунья). Когда мы имеем дело с усилительной функцией, прилагательное теряет семантическую связь с компонентами устойчивого словосочетания, в силу чего и создается особая экспрессивность.

В ряде фразеологических единиц стержнем (опорным словом) может оказаться цветное прилагательное в своем номинативном или переносном значении. В основе переноса может лежать метафора или метонимия, а иногда и какой-нибудь исторический факт. Для многих устойчивых словосочетаний семантическим стержнем является целое словосочетание.

«Фразеологические выражения с прилагательными возникают на основе и прямого и переносного значения, причем прилагательные играют ведущую роль в сочетании. На базе прямого значения прилагательных создаются фразеологические термины, относящиеся главным образом к области ботаники и зоологии. Фразеологические выражения с прилагательными в переносном значении встречаются реже, чем с прилагательными в их прямом значении» [3].

6. კამერტილიძე

გზული და თავისუფალი სიტყვათშეწყობანი ფერის ზოგადი ცნებით
ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

რეზიუმე

ზოგიერთი ფრაზეოლოგიური სიტყვათშეწყობა გამოირჩევა ფორმის უფრო
ბმულობით ვიდრე ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვა ჯგუფები. კონტექს-
ტის მიხედვით ერთი და იგივე სიტყვათშეწყობა შეიძლება იყოს როგორც ბმუ-
ლი ისე თავისუფალი. თავისუფალ სიტყვათშეწყობებში ბმულებისაგან განსხვა-
ვებით ხდება ფერის ცნების შენარჩუნება.

LINGUISTICS

N. KEMERTELIDZE

BOUND AND FREE WORD-COMBINATIONS WITH THE GENERAL
CONCEPT OF COLOUR IN PHRASEOLOGICAL UNITS

Summary

Phraseological word-combinations are distinguished by greater or smaller degree of boundness.

One and the same word-combination can be bound, as well as free, depending on the context. In free word-combinations, in contrast to bound ones, the concept of colour is kept.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. И. Бурлак. Автореферат канд. дисс. М., 1955.
2. А. М. Куслик. Вопросы немецкой и французской филологии, т. 262. Л., 1965, 89—94.
3. В. Н. Ключева. Ученые записки Моск. пед. ин-та иностр. языков, т. X, 1955, 3—18.



დ. ლოსაბერიძე

ინდოევროპული ელემენტის არსებობის პრობლემა ბრინჯაოს ხანის კავკასიაში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა, 22.6.1992)

როგორც ცნობილია, კავკასიის უძველესი ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ინდოევროპული ელემენტის კავკასიურ სამყაროსთან ურთიერთობა წარმოადგენს, რომლის გადაწყვეტის გარეშეც საერთოდ შეუძლებელი ხდება ქართველი ერის ეთნოგენეზის საკითხის გარკვევა. საერთოდ, დიდი ხანია შენიშნულია ის გავლენა, რომელსაც ინდოევროპული მასივი ახდენდა კავკასიაზე და კერძოდ ქართველური ტომებზე. ამავე დოს დღემდე ვერ არის გარკვეული სად, როდის და რა პირობებში ხორციელდებოდა ეს შეხვედრები. თავისთავად დიდი ზემოქმედება აქ კონტაქტების ხანგრძლივობაზე მეტყველებს. ამავე დროს ასეთი კავშირითიერთობანი ბრინჯაოს ხანაზე გვიან არ უნდა განხორციელებულიყო, რადგან, როგორც ცნობილია, გვიანბრინჯაოდან მოყოლებული კავკასიაში ასე თუ ისე ნათელი სურათია შექმნილი, სადაც ინდოევროპული ელემენტის ძლიერი, მრავალრიცხოვანი მიგრაციები უნდა გამოირიცხოს. ამრიგად, საჭიროა დადგინდეს, თუ ენოლითის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანიდან რა მონაკვეთში ჰქონდა ადგილი ასეთ შეხვედრებს.

დღესდღეობით, აღნიშნული საკითხის გარშემო არსებობს ძირითადად ორი მოსაზრება. პირველის თანახმად კონტაქტები ენოლითისა და ადრე-ბრინჯაოს ხანაში ხორციელდება, მეორე მოსაზრება კი ამ შეხვედრებს შუა-ბრინჯაოს ხანაში აქცევს.

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიური ენოლითური, ადრესამიწათმოქმედო კულტურა, რომელიც ხშირად შომთფეფე-შულავერის კულტურის სახელითაც მოიხსენიება, შემოსულ კულტურას უნდა წარმოადგენდეს. ეს მოვლენა შუა პოლიოცენის ხანაში უნდა მომხდარიყო, როცა ძვ. წთ. IV—V ათ. მიჯნაზე აღმ. და ცენტრ. ამიერკავკასიაში ბუნებრივი პირობების გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა აღნიშნული ტერიტორიის ათვისება, რასაც ახორციელებენ კიდევ სამხრეთიდან მოსული ტომები. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს როგორც ადრესამიწათმოქმედო კულტურის კავშირი წინა აზიის სინქრონულ, ელ-სოტოს, უმ-დაბაგიას, ჰასუნას, ჰალაფისა და სხვ. კულტურებთან, ისე ის გარემოება, რომ ამიერკავკასიური ენოლითი განვითარებული სახით უცებ ჩნდება იმ ტერიტორიაზე, სადაც ენოლითურ ხანაში არავითარი განვითარებული კულტურა არ ჩანს [1].

ძვ. წთ. IV ათ. შუახ. სოციალ-ეკონომიკური განვითარების, ადრესამიწათმოქმედო მეურნეობის კრიზისისა და მიწების გამოფიტვის შედეგად ხდება ცენტრ. და აღმ. ამიერკავკასიის ენოლითური კულტურის დაკნინება და მის ნაცვლად ახალი, ადრე-ბრინჯაოს, მტკვარ-არაქსული კულტურის აღმოცენება. ამ ხანებში ვერ გამოვრიცხავთ ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლის ფაქტსაც. განსაკუთრებით დას. საქართველოს ტერიტორიიდან, რაზეც ენოლით-

ადრებრინჯაოს გარდამავალი ეტაპის, ე. წ. სიონის ტიპის ძეგლების დანერგვაკასიასთან სიახლოვეც მეტყველებს, მაგრამ წამყვანი ამ პროცესში მაინც ადგილობრივი ელემენტი უნდა ყოფილიყო. მკვლევართა ერთი ნაწილი აქ სამხრეთული, კერძოდ, პალაფური კულტურის გავლენის არსებობასაც არ გამოირიცხავს [2, 3].

თვით მტკვარ-არაქსის კულტურის დიდ სივრცეზე; კავკასიაში ჩრდ.-დას. ირანში, ჩრდ. მესოპოტამიაში, აღმ. ანატოლიასა და სირია-პალესტინაში გავრცელების ფაქტი მეტად მნიშვნელოვანს ხდის ამ კულტურის მატარებელთა ეთნიკური ვინაობის დადგენას. თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი აღნიშნული კულტურის შემქმნელებად ხურიტულ, სამხრ. კავკასიურ და ინდოევროპულ ტომებს მიიჩნევენ და მის გავრცელებას სწორედ ამ უკანასკნელთ მიაწერენ. ამავე მოსაზრებას იზიარებენ გ. მელიქიშვილი, ლ. ვული, გ. მაჭავარიანი და სხვ. ი. დიაკონოვი და თ. ჯაფარიძე კავკასიური ადრებრინჯაოს მატარებლად — ხური-ურარტულ, ხოლო ჩრდ. — პერიფერიაზე — ქართველურ ტომებს ვარაუდობენ და კულტურის განფენა სწორედ ხურიტთა სამხრ. მიგრაციების შედეგად მიაჩნიათ. თ. აბიბულაევი, თ. ლორთქიფანიძე და რ. მუნჩაევი აქ ერთიანი, მონათესავე ტომების არსებობის კვალს ხედავენ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ თვით კულტურის დიდ ფართობზე გაშლა, გ. მელიქიშვილს აიძულებს საფუძვლიანი ეპკი შეიტანოს აღნიშნული მოსაზრების სისწორეში [4, 7].

როგორც ითქვა, მეორე მოსაზრება კავკასიაში ინდოევროპელთა გამოჩენას შუაბრინჯაოს ხანით ათარიღებს, როცა ამ ეპოქაში შექმნილ თრიალეთურ კულტურაში შეიღმჩევა ჩრდილოეთიდან წამოსული მძლავრი იმპულსების კვალი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ყორღანების გამოჩენა ამიერკავკასიაში ძვ. წთ. III ათ. დასასრულს, რომელთა პროტოტიპები ჯერ კიდევ ძვ. წთ. IV ათ. ბოლოს გვხვდება აღმ. ევროპის სტეპის ზონაში არსებულ ორმოსამარხთა კულტურაში. აღსანიშნავია, რომ ყორღანები ამიერკავკასიის სამხრეთით არ ჩანს, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს აღნიშნული მოსაზრების სისწორეს. ამავე დროს, არსებობს თვალსაზრისი (ჩ. ბარნეი, თ. ჯაფარიძე), რომ თრიალეთური კულტურის შექმნაში სამხრეთიდან წამოსულმა, ხურიტულმა ტალღებმა მიიღეს მონაწილეობა, ლ. სოლოვიოვი მითანიდან წამოსული სამხრ. იმპულსების კვალს სტეპების ზონაშიც კი ხედავს, სადაც ამ დროს ორმოსამარხთა კულტურას კატაკომბური კულტურა ენაცვლება [8].

ამრიგად, შეიძლება ჩამოვყალიბოთ ორი ძირითადი შეხედულება, რომელიც აღნიშნული საკითხის გარშემო არსებობს. პირველის მიხედვით, კავკასიის ენეოლითური და ადრებრინჯაოს კულტურები ინდოევროპული ტომების მონაწილეობითაა შექმნილი და ეს უკანასკნელი აქ თუ ავტოქთონებს არა, უძველეს ხანაში მოსულ მოსახლეობას წარმოადგენენ, ხოლო შუაბრინჯაოში თრიალეთის კულტურას სამხრეთიდან მოსული ხურიტული ტომები ქმნიან. მეორე მოსაზრება დიამეტრულად განსხვავდება პირველისაგან, რადგან ენოლით-ადრებრინჯაოს ხანაში კავკასიაში ხურიტული ელემენტის არსებობას ვარაუდობს, ხოლო აქ ინდოევროპელთა პირველ გამოჩენას შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისით ათარიღებს.

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა უნდა გადაწყდეს საკითხი, სად იყო ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისი და როგორ მიმდინარეობდა ამ ტომთა მიგრაციები.

როგორც ცნობილია, ინდოევროპელთა პირველსაცხოვრის დღესდღეობით სამ შესაძლო რეგიონში ათავსებენ, ესაა მახლობელი აღმოსავლეთი, კერძოდ, ჩრდ. მესოპოტამია (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი), აღმ. ევროპის სტეპთა ზონა (ნ. მერპერტი) და ბალკანეთის ნახევარკუნძული (გ. გიორგივი, გ. მილარტი).

ინდოევროპელი ტომების გავრცელების მთავარი ფაქტორი მათ სოციალ-ეკონომიურ წყობაში მდგომარეობდა, ექსტენსიური მესაქონლეობის განხორციელებაში აიძულა ისინი დაეწყოთ მიგრაციები ახალი საძოვრების ათვისების მიზნით. ასეთი რამ მსოფლიო ისტორიისათვის არ უღლებია არც არის უცხო მოვლენა. მომთაბრე ინდოევროპელები იმორჩილებდნენ და აინდოევროპელებდნენ დამხვედურ მოსახლეობას. მათ გააჩნდათ საკმაოდ დიდი უპირატესობა, კერძოდ მხედველობაში გვაქვს ცხენისა და საბრძოლო ეტლების არსებობა და სხვ.

გასაგებია, რომ ინდოევროპელთა პირველსაფეხურის უნდა მოთავსდეს ისეთ რეგიონში, რომელიც რამდენიმე პირობას აკმაყოფილებს. პირველი — აქ ძვ. წთ. III ათ. ბოლოსათვის უნდა არსებობდეს ერთმანეთთან მჭიდროდ დაახლოებულ კულტურათა ფართო ქსელი, მეორე — ეს კულტურები უნდა წარმოადგენდნენ მომთაბარე მესაქონლეთა კულტურებს, მესამე — აქ უნდა გვხვდებოდეს შინაური ცხენის კვალი და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ მახლობელი აღმოსავლეთი ვერც ერთ ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. აქ აღნიშნულ ეპოქაში სახეზეა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული, მიწათმოქმედი ტომების მიერ შექმნილი კულტურები, ცხენის დომესტიკაციის კვალიც მხოლოდ ძვ. წთ. II ათ. შუახანებში ჩანს. ამავე დროს ეს ეპოქა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა კავკასიის სამხრ. და დას. მიმართულებით განფენით ხასიათდება, რის გამოც ძნელია განვიზიაროთ ნ. შერპერტის მოსაზრება ძვ. წთ. III ათ. შუახ. ინდოევროპელ ტომთა ბალკანეთიდან კავკასიის მიმართულებით არსებული მიგრაციების შესახებ [9].

მეორე მხრივ, ერთმანეთთან საკმაოდ დაახლოებული კულტურების მთელი რიგი ბალკანეთზე და მიმდებარე რეგიონებში (გუმელნიცა, ტრიპოლიე და სხვ.) თითქოს პასუხობს ზემოთ წამოყენებულ ყველა პირობას, მათი მიგრაციები ძვ. წთ. IV ათ. დასასრ. — I ათ. დასაწყ. მიმდინარეობდა აღნიშნული რეგიონი იმპულსების სახით გამოყოფდა ახალ-ახალ ჯგუფებს, რომლებიც ტალღისებურად ვრცელდებოდნენ ევროპისა და აზიის ტერიტორიებზე. ბოლო დროის გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ჩრდ. კავკასიაში არსებული არქეოლოგიური ძეგლები უფრო ძველია წინააზიაში არსებულ, ინდოევროპელთათვის მიკუთვნებულ ძეგლებზე, რასაც თავისთავად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მოძრაობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იყო მიმართული და არა პირიქით [10].

ინდოევროპელთა შემოსვლა წინააზიის ტერიტორიაზე სამი შესაძლო გზით შეიძლება განხორციელებულიყო. ესაა ბალკანური, კავკასიური და შუა აზიური მარშრუტები, თუმცა ამ უკანასკნელის შესახებ თურქესტანის მეტისმეტად სუსტი არქეოლოგიური შესწავლის გამო ბევრს ვერაფერს ვიტყვი.

ასე რომ, ჩვენ ვიზიარებთ ჯ. მელარტის, ლ. ვულის და სხვ. მიერ გამოთქმულ მოსაზრებას წინააზიაში ინდოევროპელთა კავკასიის გზით გამოჩენის შესახებ, ამავე დროს ვერ დავეთანხმებით ბ. პირონის იმაში, რომ აქ ხეთური მოდგმის ხალხები უნდა ვიგულისხმოთ, ხეთური და საერთოდ, ანატოლიური ელემენტი, რომელიც საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრების მიხედვით, ყველაზე ადრე უნდა გამოყოფილიყო საერთო ინდოევროპულ ერთობას. ალბათ, ბალკანეთიდან უნდა შემოსულიყო მცირე აზიაში, ამასთან ეს მიგრაცია საკმაოდ ადრე უნდა განხორციელებულიყო, რადგან ძვ. წთ. II ათ. დასაწყ. მცირე აზიაში ინდოევროპელთა და დამხვედურ, ხეთურ მოსახლეობას შორის შერევა უკვე მომხდარი ფაქტია [11].

შესაძლოა, მართალია ტ. ბარტონ-ბრაუნი, რომელიც ჩრდილოეთიდან კავკასიაში შემოსულ ტომებში პროტოკელტური ელემენტის კვალს ხედავს, თუმ-

ცა, ჩვენი აზრით, უფრო მოსალოდნელია აქ არიული, ინდო-ირანული მრავალმნიშვნელოვანი ტომები დავინახოთ, რომელთა კავკასიაში და შემდგომ უფრო სამხრ. რეგიონებში შეღწევამ ხალხთა (ხურიტთა, კასიტთა და სხვ.) ახალი ამოძრავება გამოიწვია. სწორედ ინდო-ირანული ელემენტი გაავრცელებული კავკასიის ჩრდილოეთით, სამხრ. უკრაინასა და ვოლგა-დონის ქვემოთაში ძვ. წთ. IV—III ათ. მიჯნიდან მოყოლებული [12].

ინდოევროპელთა მიგრაციებზე დიდ გავლენას ახდენდა ბუნებრივი პირობების ცვლაც. გარკვეულწილად სწორედ იგი განაპირობებდა მიგრაციათა სიხშირესა და მიმართულებას, ამის მაგალითად გამოდგება ის სიტუაცია, რომელიც აღმ. ევროპის სტეპებში შეიქმნა ძვ. წთ. III ათ. შუახანებში. გ. კლარკი, ი. სმოლიანი და ტ. სულიმირსკი ამ ხანებში აღნიშნავენ სამხრ.-აღმ. ევროპაში მცხოვრები ტომების ამოძრავებას ცენტრალური ევროპის მიმართულებით, სადაც მათ შეაქვეთ ე. წ. გრეხილორნამენტის კერამიკა, ეს მოვლენა სტეპების გამოშრობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. შემდგომში, როცა სტეპში ეკოლოგიური წონასწორობა აღდგა (ძვ. წთ. III—II ათ. მიჯნა), ინდოევროპული ტომები უბრუნდებიან პირველსაცხოვრის ტერიტორიას. აღნიშნულ ტომებს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ კავკასიურ სამყაროსთან, რაზეც თუნდაც ცენტრ. ევროპაში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული იმპულსები მეტყველებენ, მოგვიანებით ინდოევროპული ელემენტი პირაით. გადმოდის შეტევაზე და როგორც ცნობილია, აღწევს კიდევ კავკასიაში, სადაც შემოაქვს ყორღანული კულტურა. საერთოდ ინდოევროპელთა გაქტიურება და მათი სამხრეთი რეგიონებისაკენ სწრაფვა ძვ. წთ. III—II ათ. მიჯნაზე, წინა აზიის ძველ ცივილიზაციათა დასუსტების შემდეგ იწყება.

ჩრდილოეთიდან ახალი, კავკასიური გარემოსათვის უცხო ელემენტის შემოსვლაზე მეტყველებს როგორც ახალი, მოსული კულტურის განსხვავება ჩრდ. კავკასიური, ერთმანეთთან ძლიერ ახლოს მდგომი კულტურებისაგან, ისე სწორედ ამ ხანებში სირიისა და მესოპოტამიის მთელ რიგ, ჩრდ. რეგიონებში ინდოევროპული, კერძოდ ინდო-ირანული სახელების (ინდრა, მითრა, ვარუნა, ნასატია და სხვ.) გამოჩენის ფაქტი. მოგვიანებით, უკვე ძვ. წთ. II ათ. დასასრულსა და I ათ. დასაწყისში იწყება ინდოევროპელთა ახალი ამოძრავება. მხედველობაში გვაქვს როგორც ირანული ტომების გავრცელება ზაგროსის ზონაში, ისე ბალკანეთიდან ახალი, ფრიგიულ-სომხური ტომების გადმოსვლის ფაქტიც, რამაც მნიშვნელოვანწილად შეცვალა სიტუაცია წინა აზიაში და ხელი შეუწყო თანამედროვე ეთნიკური სურათის შექმნას [13].

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: სავარაუდოა, რომ კავკასიაში ენოლოგიისა და ადრებრინჯაოს ხანაში წამყვან კულტურებს კავკასიური, ხური-ურარტული და მათთან ახლოს მდგომი სხვა ტომები ქმნიდნენ. ინდოევროპელთა არსებობა ამ ხანებისათვის აქ არ უნდა იყოს სავარაუდებელი. მოგვიანებით, ძვ. წთ. III—II ათ. მიჯნიდან, იწყება ამ უკანასკნელთა შემოღწევა წინა აზიაში და მათი მოძრაობის ერთ-ერთ უმთავრეს მაგისტრალად სწორედ კავკასია უნდა ვივარაუდოთ. ინდოევროპელთა შემოსვლას შედეგად მოჰყვა მთელი რიგი ადგილობრივი ხალხების ასიმილაცია დამპყრობელთა მიერ და საფუძველი ჩაეყარა წინა აზიისა და კავკასიის ისტორიის ახალ, თვისობრივად განსხვავებულ ეტაპს.

D. G. LOSABERIDZE

ПРОБЛЕМА СУЩЕСТВОВАНИЯ ИНДОЕВРОПЕЙСКОГО ЭЛЕМЕНТА НА КAVKAZE В ЭПОХУ БРОНЗЫ

Резюме

В статье рассмотрена проблема влияния народов-носителей индоевропейских языков на кавказский регион. После рассмотрения теорий, существующих по этой проблеме к настоящему дню, и в результате анализа целого ряда данных делается вывод, что индоевропейский элемент впервые появляется с севера во второй половине III тыс. — начале II тыс. до н. э. и способствует переходу Восточного и Центрального Закавказья на качественно новую ступень развития.

HISTORY

D. LOSABERIDZE

THE PROBLEM OF THE EXISTENCE OF THE INDO-EUROPEAN ELEMENT IN THE CAUCASUS DURING THE BRONZE AGE

Summary

The paper concerns the problem of the influence of native Indo-European speakers on the Caucasian region. According to current theories Indo-European elements first appeared in the Caucasus in the period of the second half of the 3d millenium B. C. and the beginning of the 2nd millenium B. C. from the North and promoted the transition of the Eastern and Central Transcaucasia to essentially new step of development.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. О. Д. Джапаридзе. На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси, 1989.
2. Т. Н. Чубинишвили. К древней истории южного Кавказа. Тбилиси, 1972.
3. თ. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. თბილისი, 1976.
4. Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы, т. I—II. Тбилиси, 1984.
5. გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მაზლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1965.
6. Р. М. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века. Тбилиси, 1975.
7. თ. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1968.
8. C. A. Burney, D. M. Lang, The Peoples of the Hills, Ancient Ararat an Caucasus, London., 1971.
9. Н. Я. Мерперт, КСИА, 83, М., 1961.
10. Г. Л. Кавтарадзе. К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тбилиси, 1983.
11. Т. В. Гамкрелидзе. საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, II, 1957.
12. В. И. Георгиев. Исследования по сравнительно-историческому языкознанию. М., 1958.
13. Т. А. Дегтерева. Пути развития современной лингвистики, I. Пути развития советского языкознания в области индоевропейской проблематики. М., 1961.



ჯ. ავაშიძე

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ჩასახვისა და მისი თავდაპირველი
ბავრცელების საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ო. ჯაფარიძემ 25.III.1993)

სპეციალურ ლიტერატურაში სადღეისოდ ძირითადად გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც კოლხური ბრინჯაოს კულტურის ჩამოყალიბების არეალად მიჩნეულია კოლხეთის შავიზღვისპირეთი, უფრო კი, მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ამ მოსაზრების მომხრენი აღნიშნავენ, რომ კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირეთში აღმოჩენილია კოლხური კულტურის უადრესი ბრინჯაოს განძები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კოლხური ცულებისა და თხების პროტოტიპებს. უფრო მეტიც, აღნიშნულია, რომ „... მხოლოდ აქაა დამოწმებული მთლიანობაში ის, რასაც კოლხურ ბრინჯაოს ვუწოდებთ, მისი ყველა წამყვანი ელემენტით (კოლხური ცული, მხრებიანი ბრტყელი ცული, წალდი, თხი, სეგმენტისებური იარაღი და ვერტიკალურხვრელიანი კელტისებური იარაღი), რომლებიც მკვიდრო ფორმალურ-ტიპოლოგიური კავშირებით ერთიანდებიან“ [1].

სპილენძის მადნის მოპოვების ცენტრებსა და ლითონის დამუშავებელი სახელოსნოების ადგილმდებარეობას ერთმანეთისაგან ჰკვეთრად მიგნავენ ა. იესენი, გ. გობეჯიშვილი, ო. ჯაფარიძე, ო. ლორთქიფანიძე, დ. ქორიძე, ა. რამიშვილი და სხვ. გ. გობეჯიშვილსა და ო. ჯაფარიძეს მიაჩნიათ, რომ „სახელოსნოების კერების მკვიდრო კავშირი სამთამადნო წარმოების კერებთან, რაც შუაბრინჯაოს ხანამდე შეინიშნებოდა, ამ დროს (ე. ი. გვიანბრინჯაოს ხანაში — ჯ. ა.) უმეტესწილად დარღვეულია... სახელოსნო ცენტრები ყოველთვის არ ემთხვევა მადნის დაწურვის კერებს. რადგან სატრანსპორტო საშუალებანიც გაუმჯობესდა და ლითონის დამუშავების ცოდნაც ფართოდ გავრცელდა, დაიწყო ლითონის ზოდების შორს გატანა და სხვადასხვა პუნქტებში ჩამოსხმა-გამოჰედვა“ [2].


1986 წელს ო. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“. სპილენძის მოპოვების ცენტრებისა და ლითონდამუშავებელი სახელოსნოების ერთმანეთისაგან გამიჯვნის შედეგად ავტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „... კოლხური ბრინჯაოს კულტურის სამშობლოდ მთავორიანი ოლქები, კერძოდ, ჭოროხის აუზი და მისი მადნეულით მდიდარი ოლქები კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ კოლხეთის ბარი! ამასთან გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ კოლხური ბრინჯაოს ძირითადი სახეობანი, მურწნეობის ადგილობრივი ხასიათით განპირობებული, თითქმის ერთდროულად ჩნდება კოლხეთის მთელ დაბლობზე. ამის თვალსაჩინო მოწმობაა კოლხური ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განმსაზღვრელი კომპონენტის — კოლხური ცულის გენეზისი, მისი ქრონოლოგიური და ტერიტორიული გავრცელების თავდაპირველი არეალი“ [3].

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ჩასახვისა და მისი თავდაპირველი გავრცელების არეალის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ო. ლორთქიფანიძის შემოთმთოყვანილ მოსაზრებას. ამ თვალსაზრისით, ჩვენ შევეცადეთ



განგვეხილა ყველა ის მონაცემი, რომელიც სადღეისოდ არსებობს ამ ქვეყნის გარშემო და საინტერესო შედეგად მივიღეთ. ამით, ერთი მხრივ, ჩვენ გავიზიარეთ ო. ლორთქიფანიძის მოსაზრება, მეორე მხრივ კი, განვამტკიცეთ ეს მოსაზრება ახალი მონაცემებით.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის თავდაპირველი ჩასახვისა და გავრცელების არეალად ჭოროხსა და სუფსას შორის მოქცეული ტერიტორიის მიჩნევის მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ადგილობრივი ადრეული განძების შემადგენლობაში შედიან კოლხური ცულებისა და თოხების პროტოტიპები და უშუალო წინამორბედები [1, 2, 4, 5, 6]. მაგრამ ადრეული განძების აღმოჩენა ცენტრალურ (გალი, მუჟავა, დიდი ჭყონი) [1, 8] და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში (გაგრა, ბიჭვინთა, პილენკოვო, ლიხნი) [9] არის აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგო ფაქტი. ამას გარდა, უკანასკნელ დროს ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილოეთ კოლხეთში გახშირდა სპილენძის უძველესი გამოწამუშევრების აღმოჩენის შემთხვევები, რის საფუძველზეც აქ გამოიყოფა სპილენძის მადნის მოპოვების ახალი კერები (ადენგი, ბაშკაფსარა, ზაარგაში, ლები და სხვ.) [10, 12]. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ყუამილიანი ცულები, რომლებიც წინ უსწრებენ კოლხურ ცულებს და ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით თარიღდებიან, ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად თავს იჩენენ კოლხეთის დაბლობშიც. ასეთი ცულების ერთ-ერთი სახეობის 30 სასხმელი ყალიბი აღმოჩენილია ფიჭორის ცენტრალური დიხა-გუძუბას ბორცვის VIII ფენაში [10, 13]. ადრე ამ ტიპის ცული აღმოჩენილი იყო ანაკლიის დიხა-გუძუბა I-ის ქვედა ფენაში. ცული ინახება ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში (სურ. I, 1).



სურ. I

ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი II ტიპის ყუაწახნაგოვანი ბრინჯაოს ცულები. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს II ტიპის ცულის უშუალო წინამორბედი, რომელიც ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება (სურ. I, 3) და II ტიპის მრგვალ-სატარეზვრელიანი ცული მუჟავას განძიდან, რომელიც 1928 წელს იქნა აღმოჩენილი და, რომელიც ბოლო დრომდე უცნობი იყო სპეციალურ ლიტერატურაში [8] (სურ. I, 5). მრგვალი სატარეზვრელით ხასიათდებიან კოლხუ-



რი ცულების ადრეული ეტაპის ბრინჯაოს ცულები. გვიანბრინჯაოს ხანაში კოლხურ ცულებს ოვალური სატარე ნახვრეტი აქვთ, რაც ამ ნიმუშების განვითარებულ და დახვეწილ ელემენტს წარმოადგენს [14]. ჩვენი აზრით, I ტიპის ყუამახვილიანი ცულების ნაირსახეობას ეკუთვნის დიდი ჭყონში 1984 წელს შემთხვევით აღმოჩენილ განძში შემავალი ცული, რომელიც მარტივლის მუხეუმში ინახება (სურ. I, 4). II ტიპის ცულების პროტოტიპები და უშუალო წინამორბედები დიდი რაოდენობითაა დაცული გალის, გაგრის, პილენკოვოს, ბიჭვინთის, ლიხნის, სოხუმის მთისა და სხვა განძების შემადგენლობაში [7, 9]. I ტიპის მახვილყუიანი ცულების პროტოტიპება და უშუალო წინამორბედები კი აღმოჩენილია როგორც სამხრეთ-დასავლეთ (ერგე, ჭოროხი, მახო, დიდ-აჭარა [5], ისე ცენტრალურ (ფიჭვნარი, ქობულეთი, ურეკი, ოჩამჩირე) [5, 7] და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში (ბიჭვინთა, გაგრა, პილენკოვო) [9].

ბოლო დრომდე III ტიპის ტანში ორგზის მოხრილი გრავირებული ორნამენტით შემკული ბრინჯაოს ცულების აღმოჩენის შემთხვევები ცნობილი იყო მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო კოლხეთში, თლისა და ყობანში (ზემოყობანის სამაროვანი, ფასკაუს სამაროვნები, გალიათი და სხვ. [7, 9, 15, 16]. უკანასკნელ ხანებში ამგვარმა ცულებმა თავი იჩინეს კოლხეთის დაბლობშიც. სადღეისოდ ისინი აღმოჩენილია მუხურჩისა და დღვბას სამაროვნებზე [17, 18].

კოლხური თოხების თავდაპირველი გამოჩენის ადგილად სპეციალისტები დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს მიიჩნევენ. გამოყოფენ კოლხური თოხების სამ ძირითად ტიპს (დ. ქორიძის კლასიფიკაციით). I ტიპს განეკუთვნებიან სამკუთხაპირიანი სწორტანიანი თოხები, II ტიპს — სწორი ან მოხრილტანიანი ფართოპირიანი თოხები, III ტიპს — მცირე ზომის ტრაპეციისებური ფორმის თოხები [9].

I ტიპის კოლხური თოხების უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია ურეკის განძის შემადგენლობაში (ძვ. წ. XVIII—XVI სს.). ამ სახეობის თოხები არსებობდნენ ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებამდე. ზენთის განძში I ტიპის თოხები გვხვდება ფართოპირიან თოხებთან ერთად [5, 9]. ძვ. წ. XIII საუკუნის შემდეგ სამკუთხა პირიანი თოხების ნაცვლად ხმარებაში შემოდის II და III ტიპის თოხები, რომლებიც პირველად სწორედ ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების კომპლექსებში იჩენენ თავს (ზენითის განძი, ფარცხანაყანევის განძი და სხვა.) [5, 9].

ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ სამკუთხა პირიანი თოხები გაგრეცლებული იყო მხოლოდ კოლხეთის დაბლობის სამხრეთ ნაწილში (ზენითის, ურეკის, მეღუქედურის, შრომის განძი და სხვ.) და რომ სწორედ ეს მხარე ითვლება ამ ტიპის თოხების თავდაპირველი ჩასახვისა და გაჩენის ადგილად. სადღეისოდ უკვე არსებობს ახალი მონაცემები, რომლებიც უარყოფენ ამ მოსაზრებას. ამას ადასტურებს მ. ბარამიძისა და ლ. ჯიბლაძის მიერ ფიჩორის ცენტრალურ დიხა-გუძუბას შუაბრინჯაოს ხანის კულტურულ ფენაში ე. წ. „ურეკული ტიპის“ ბრინჯაოს ხუთი თოხისა და მათი სამსხმელო ფორმის აღმოჩენა [10]. საყურადღებოა ასევე ბრინჯაოს თოხების ორი კერამიკული სამსხმელო ფორმის აღმოჩენა ანაკლიის დიხა-გუძუბა II შუაბრინჯაოს ხანის კულტურულ ფენაში [18].

როგორც ჩანს, შუაბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისში (ძვ. წ. XVI—XIV სს.) კოლხეთის დაბლობში გარდა სამკუთხაპირიანი თოხებისა გამოყენებაში ყოფილა თოხები, რომელთა სამუშაო პირი წაგრძელებული ფოთლას ფორმისაა. ორი ასეთი თოხი შეიძლება განძის შემადგენლობაში (სურ. I, 6, 7). ამავე კომპლექსში წარმოდგენილია II ტი-



პის მრგვალსატარებელიანი, ყუაჩანაგოვანი კოლხური ცული, წარმოადგენს ამ ტიპის ცულების ადრეულ ნიმუშს და ქრონოლოგიურად საბამემა გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპს. ამავე დროს გახეკუთუნებიან ფოთლისებურპირიანი თოხებიც. კოლხეთის ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების კომპლექსებში ამგვარი თოხები უკვე არ გვხვდებიან. ამ დროიდან აქ ფართოდაა გავრცელებული II და III ტიპის თოხები. საგულისხმოა, რომ სვანეთში (ჭუმბერი, ზუდონი) აღმოჩენილ ფოთლისებურპირიან თოხებს შ. ჩართოლანი ასევე გვიანბრინჯაოს დასაწყისით ათარიღებს [12].

ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე კოლხეთში ფოთლისებურპირიანი თოხების არსებობის პერიოდი გვიანბრინჯაოს საწყისი საუკუნეებით უნდა განისაზღვროს. ჩვენი აზრით, ამავე დროით უნდა დათარიღდეს მუქავას განძიც (ძვ. წ. XVI—XVI სს.).

როგორც დავინახეთ, სადღეისოდ არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ კოლხური ბრინჯაოს ცულებისა და თოხების ჩასახვისა და თავდაპირველი გავრცელების არეალად მივიჩნიოთ კოლხეთის მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. როგორც ჩანს, კოლხური ცულებისა და თოხების ჩამოყალიბება და განვითარება ხდებოდა მთლიანად კოლხეთის დაბლობისა და მთისწინეთის ფარგლებში. კოლხეთის ამ ზონაში მეურნეობის ხასიათი აპრობებდა დიდ მოთხოვნებს სამიწათმოქმედო იარაღებზე.

ასევე ძნელია დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი იარაღი — „სეგმენტი“ თავის წარმოშობას სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთიდან იღებს. უადრესი განძი, რომლის შემადგენლობაშიც შედის სეგმენტისებური იარაღი ფარცხანაყანუვის განძია (ძვ. წ. XIV—XIII სს.) [9]. ფარცხანაყანუვი კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში კი „სეგმენტები“ პირველად მხოლოდ ძვ. წ. XII—XI საუკუნეებში იჩენენ თავს (ციხისძირ-სამების განძი, ართვინის განძი [9]).

უნდა აღინიშნოს, რომ წალდი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთის კომპლექსებისათვის დამახასიათებელ ელემენტადაა მიჩნეული, აღმოჩენილია ცენტრალურ კოლხეთშიც. ასეთი იარაღი გამოვლენილია დაბლაგომის ნაციხვარას შუა ფენაში [19], ზენთის განძის შემადგენლობაში [9] და სხვ. ამავე დროს არ უნდა გამოირიცხოს ბრინჯაოს ვერტიკალურხვრელიანი ცულებისა და ცულ-საკაფების სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ლოკალურ თავისებურებად მიჩნევის შესაძლებლობა, მითუმეტეს, რომ ამ რიგის საგნები კოლხეთის სხვა რეგიონებში ჭერჭერობით არაა აღმოჩენილი. ისინი გვხვდება ჩაისუბნის, განთიადისა და ართვინის განძის შემადგენლობაში [5]. ცულ-საკაფების სახესხვაობად შეიძლება მივიჩნიოთ ბრინჯაოსა და რკინის დანების ერთ-ერთი სახეობა, რომლებიც კოლხეთის დაბლობის სხვადასხვა ძეგლებზეა აღმოჩენილი. ნიგვზიანისა და პალერის სამაროვნის მოხრილ დანებს თავისუფლად შეეძლოთ ცულ-საკაფის როლის შესრულებაც [20; 21]. იგივეს თქმა შეიძლება სიმაგრის ბორცვზე აღმოჩენილ ერთ-ერთ ბრინჯაოს დანაზე [22].

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე კოლხური ბრინჯაოს კულტურის თავდაპირველი ჩასახვისა და გავრცელების არეალად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი, არამედ მთლიანად კოლხეთის დაბლობი. სწორედ დასავლეთ საქართველოს დაბლობში ძვ. წ. XVI—XIV საუკუნეების მანძილზე შუაბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის საფუძველზე ჩამოყალიბდა გვიანბრინჯაოს ხანის ცნობილი კოლხური კულტურა. ძვ. წ. XIV საუკუნეში ამ კულტურას უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახე აქვს. ამის შემდეგ ჩნდება ის კომპლექსები (განძები), რომელთა

შემადგენლობაში ხშირად ერთდროულადაა წარმოდგენილი კოლხური ბრინჯაოსათვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოხუმის ფილიალი

(შემოვიდა 25.3.1993)

АРХЕОЛОГИЯ

Д. Б. АПАКИДЗЕ

К ВОПРОСУ О ЗАРОЖДЕНИИ И ПЕРВОНАЧАЛЬНОМ РАСПРОСТРАНЕНИИ КОЛХИДСКОЙ БРОНЗОВОЙ КУЛЬТУРЫ

Резюме

На основе тщательного анализа археологического материала показано, что местом зарождения колхидской бронзовой культуры является не только историческая юго-западная Колхида, как это до сих пор считает большинство специалистов, но и колхидская низменность.

ARCHAEOLOGY

D. ARAKIDZE

ON THE INCEPTION AND ORIGINAL DISTRIBUTION OF KOLKHIAN BRONZE CULTURE

Summary

On the basis of a thorough analysis of archaeological material it is shown that it was not only historical south-western Kolkhis that was the place of inception of Kolkhian Bronze Culture, as has hitherto been accepted by the majority of specialists, but the Kolkhian lowland as well.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. თ. შიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი, 1974.
2. გ. გობეჯიშვილი, ო. ჯაფარიძე. საქართველოს არქეოლოგია. თბილისი, 1959.
3. ო. ლორთქიფანიძე. არგონაუტიკა და ძველი კოლხეთი. თბილისი, 1986.
4. ო. ჯაფარიძე. მეცნ., № 1, 1982.
5. ა. რამიშვილი. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი, 1974.
6. ნ. ხახუტაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ზღვისპირეთი ადრეკინის ხანაში. თბილისი, 1986.
7. М. М. Трапш. Труды, т. I. Сухуми, 1970.
8. ჯ. აფაქიძე. ძეგლის მეგობარი, № 3, 1988.
9. დ. ქორიძე. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი, 1965.
10. Башкапсарский полево-археологический семинар (тез. докладов). Сухуми, 1988.
11. გ. გობეჯიშვილი, თ. შუჭირი, გ. ინაიშვილი, ვ. შაისურაძე. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 111, № 2, 1983.
12. Ш. Г. Чартолани. К истории нагорья Западной Грузии. Тбилиси, 1989.
13. ლ. ჭიბლაძე. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 119, № 3, 1986.
14. ო. ჯაფარიძე, საქ. საბ. მეზუემის მოამბე, 1950, XVI—B.
15. Б. В. Техов. Тлийский могильник. Тбилиси, 1980, т. I; 1982, т. II; 1985, т. III.
16. П. С. Уварова. Могильники Северного Кавказа — МАК, 1900, т. VIII.



17. Э. М. Гогодзе. Вестник гос. музея Грузии, 1984, XXXVII-B.
18. Т. К. Микеладзе, Д. Л. Мухелишвили, Д. А. Хахуцашвили. ПАИ — 1978. Тбилиси, 1981.
19. Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т. II. Тбилиси, 1950.
20. თ. შიქელაძე. კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნები. თბილისი, 1985.
21. Б. О. Кривошадзе, М. Барашадзе. МСЖ, VI, 1974.
22. თ. შიქელაძე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბილისი, 1978.

ა ბ ტ ო რ ტ ა ს ა უ რ ა დ ლ ე ბ ო ლ

1. ეურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ ქვეყნდება აკადემიოსთა და წევრ-კორესპონდენტთა, აკადემიის სისტემაში მომუშავე და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომლებიც შეიცავს ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჭერ გამოუქვეყნებულ შედეგებს. წერილები ქვეყნდება მხოლოდ იმ სამეცნიერო დარგებიდან, რომელთა ნომენკლატურული სია დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2. „მოამბეში“ არ შეიძლება გამოქვეყნდეს პოლემიკური წერილი, აგრეთვე მიმოხილვითი ან აღწერითი ხასიათის წერილი ცხოველთა, მცენარეთა ან სხვათა სისტემატიკაზე, თუ მასში მოცემული არაა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო შედეგები.

3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წერილები უშუალოდ გადაეცემა გამოსაქვეყნებლად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორთა წერილები ქვეყნდება აკადემიოსთა ან წევრ-კორესპონდენტთა წარდგინებით. როგორც წესი, აკადემიოსს ან წევრ-კორესპონდენტს „მოამბეში“ დასაბუქდალ წელიწადში შეუძლია წარმოდგინოს სხვა ავტორთა არა უმეტეს 12 წერილისა (მხოლოდ თავისი სპეციალობის მიხედვით), ე. ი. თითოეულ ნომერში თითო წერილი. საკუთარი წერილი — რამდენიც სურს, ხოლო თანაავტორებთან ერთად — არა უმეტეს სამი წერილისა. გამონაკლის შემთხვევაში როცა აკადემიოსს ან წევრ-კორესპონდენტს მოითხოვს 12-ზე მეტი წერილის წარდგენას, საკითხს წყვეტს მთავარი რედაქტორი. წარდგინების ვარგულ შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია წარმოსადგენად გადასცემს აკადემიოსს ან წევრ-კორესპონდენტს. ერთსა და იმავე ავტორს (გარდა აკადემიოსისა და წევრ-კორესპონდენტისა) წელიწადში შეუძლია „მოამბეში“ გამოაქვეყნოს არა უმეტეს სამი წერილისა (სულ ერთია, თანაავტორებთან იქნება იგი, თუ ცალკე).

4. წერილს აუცილებლად უნდა ახლდეს ეურნალ „მოამბის“ რედაქციის სახელზე იმ სამეცნიერო დაწესებულებების მომართვა, სადაც შესრულებულია ავტორის სამუშაო.

5. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, დასაბუქდალ საესებით მზა სახით, ავტორის სურვილისამებრ ქართულ რუსულ ან ინგლისურ ენაზე. ქართულ ტექსტს თან უნდა ახლდეს რუსული და მოკლე ინგლისური რეზიუმე, რუსულ ტექსტს — ქართული და მოკლე ინგლისური რეზიუმე. ხოლო ინგლისურ ტექსტს — ქართული და მოკლე რუსული რეზიუმე. წერილის მოცულობა ილუსტრაციებითურთ, რეზიუმეებითა და დამოწმებული ლიტერატურის ნუსხითურთ, რომელიც მას ბოლოში ერთვის, არ უნდა აღემატებოდეს ეურნალის 8 გვერდს (16 000 ასტამბო ნიშანი), ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით გადაწერილ 12 სტანდარტულ გვერდს (ფორმულებიანი წერილი კი 11 გვერდს) არ შეიძლება წერილების ნაწილებად დაყოფა სხვადასხვა ნომერში გამოსაქვეყნებლად. ავტორისაგან რედაქცია ღებულმას თვეში მხოლოდ ერთ წერილს.

6. აკადემიოსთა ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება რედაქციის სახელზე დაწერილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე წარდგინების თარიღის აღნიშვნით. მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რა არის ახალი წერილში, რა მეცნიერული ღირებულება აქვს მას და რამდენად უპასუხებს ამ წესების 1 მუხლის მოთხოვნას.

7. წერილი არ უნდა იყოს გადატვირთული შესავლით, მიმოხილვით, ცხრილებით, ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურით. მასში მთავარი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი საკუთარი გამოკვლევების შედეგებს. თუ წერილში გზადგება, ქვეთავლების მიხედვით გადამოცემულია დასკვნები, მაშინ საჭირო არაა მათი გაშვება წერილის ბოლოს.

8. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დაიწეროს ავტორის ინიციალები და გვარი, ქვემოთ — წერილის სათაური. სათაურის ქვემოთ წარმომდგენის ინიციალები, გვარი და წარმოდგენის თარიღი არაბული ციფრებით. ზემოთ მარჯვენა მხარეს, წარმომდგენმა უნდა დაწეროს, თუ მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება წერილი. წერილის ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს, ავტორმა უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სრული სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

9. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ცალად კონვერტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს კალკაზე შავი ტუშით. წარწერები ნახაზებს უნდა გაუკეთდეს კალიგრაფიულად და ისეთი ზომისა, რომ შემცირების შემთხვევაშიც კარგად იკითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემო წარწერების ტექსტი წერილის ძირითადი ტექს-

ტის ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე. არ შეიძლება ფოტოებისა და ნახაზების დაწებება დედნის გვერდებზე. ავტორმა დედნის კიდზე ფანქრით უნდა აღნიშნოს, რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისეთი ცხრილი, რომელიც ჟურნალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები მუდმივად უნდა დიდოდ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე ეგზემპლარში, ბერძნულ ასოებს ქვემოთ უნდა გან უნდა გაეცვას თითო ხაზი წითელი ფანქრით, მთავრულ ასოებს — ქვემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით, ხოლო არამთავრულ ასოებს — ზემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით. ფანქრითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრით ნიშნავებიც (ინდექსები და ხარისხის მანვენებლები). რეზიუმეები წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე ფურცლებზე. წერილში არ უნდა იყოს ჩასწორებები და ჩამატებები ფანქრით ან მელნით.

10. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საჭიროა დაცულ იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი. თუ დამოწმებულია საერთაშორისო შრომა, ვუჩვენოთ ჟურნალის შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვუჩვენოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერაციაც უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათვალად ტექსტსა თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნახევრები უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება. დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშაობს და რა თანამდებობაზე, უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

11. „მოამბეში“ გამოქვეყნებული ყველა წერილის მოკლე შინაარსი იბეჭდება რეფერატულ ჟურნალში. ამიტომ ავტორმა წერილთან ერთად აუცილებლად უნდა წარმოადგინოს მისი რეფერატი რუსულ ენაზე (ორ ცალად).

12. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებად შერული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს ორი დღისა). თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ენის გარეშე.

13. ავტორს უფასოდ ეძლევა თავისი წერილის 10 ამონაბეჭდი.

(დამტკიცებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 6.2.1969 შეტანილია ცვლილებები 10.2.1992)

რედაქციის მისამართი: თბილისი 60, კუტუშოვის ქ. № 19; ტელ. 37-22-16, 37-86-42, 37-85-61

საფოსტო ინდექსი 380060

К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

1. В журнале «Сообщения АН Грузии» публикуются статьи академиков, членов-корреспондентов, научных работников системы Академии и других ученых, содержащие еще не опубликованные новые значительные результаты исследований. Печатаются статьи лишь из тех областей науки, номенклатурный список которых утвержден Президиумом АН Грузии.

2. В «Сообщениях» не могут публиковаться полемические статьи, а также статьи обзорного или описательного характера по систематике животных, растений и т. п., если в них не представлены особенно интересные научные результаты.

3. Статьи академиков и членов-корреспондентов АН Грузии принимаются непосредственно в редакции «Сообщений», статьи же других авторов представляются академиком или членом-корреспондентом АН Грузии. Как правило, академик или член-корреспондент может представить для опубликования в «Сообщениях» не более 12 статей разных авторов (только по своей специальности) в течение года, т. е. по одной статье в каждый номер, собственные статьи—без ограничения, а с соавторами—не более трех. В исключительных случаях, когда академик или член-корреспондент требует представления более 12 статей, вопрос решает главный редактор. Статьи, поступившие без представления, передаются редакцией академику или члену-корреспонденту для представления. Один и тот же автор (за исключением академиков и членов-корреспондентов) может опубликовать в «Сообщениях» не более трех статей (независимо от того, с соавторами она или нет) в течение года.

4. Статья обязательно должна иметь направление из научного учреждения, где проведена работа автора, на имя редакции «Сообщений АН Грузии».

5. Статья должна быть представлена автором в двух экземплярах, в готовом для печати виде, на грузинском, на русском или на английском языке, по желанию автора. К грузинскому тексту должны быть приложены русское и краткое английское резюме, к русскому тексту—грузинское и краткое английское резюме, а к английскому тексту—грузинское и краткое русское резюме. Объем статьи, включая иллюстрации, резюме и список цитированной литературы, приводимый в конце статьи, не должен превышать 8 страниц журнала (16 000 типографских знаков), или двенадцати стандартных страниц машинописного текста, отпечатанного через два интервала (статьи же с формулами—одинадцати страниц). Представление статьи по частям (для опубликования в разных номерах) не допускается. Редакция принимает от автора в месяц только одну статью.

6. Представление академика или члена-корреспондента на имя редакции должно быть написано на отдельном листе с указанием даты представления. В нем необходимо указать: новое, что содержится в статье, научную ценность результатов, насколько статья отвечает требованиям пункта 1 настоящего положения.

7. Статья не должна быть перегружена введением, обзором, таблицами, иллюстрациями и цитированной литературой. Основное место в ней должно быть отведено результатам собственных исследований. Если по ходу изложения в статье сформулированы выводы, не следует повторять их в конце статьи.

8. Статья оформляется следующим образом: сверху страницы в середине пишутся инициалы и фамилия автора, затем—название статьи, а под названием—инициалы и фамилия представляющего статью и дата представления арабскими цифрами. Справа сверху представляющий статью указывает, к какой области науки относится она. В конце основного текста статьи с левой стороны автор указывает полное название и местонахождение учреждения, где выполнена данная работа.

9. Иллюстрации и чертежи должны быть представлены в двух экземплярах в конверте; чертежи должны быть выполнены черной тушью на кальке. Надписи на чертежах должны быть исполнены каллиграфически в таких размерах, чтобы даже в случае уменьшения они оставались отчетливыми. Подрисуночные подписи, сделанные на языке основного текста, должны быть представлены на отдельном листе. Не следует приклеивать фото и чертежи к листам оригинала. На полях ори-

гнала автор отмечает карандашом, в каком месте должна быть помещена та или иная иллюстрация. Не должны представляться таблицы, которые не могут уместиться на одной странице журнала. Формулы должны быть четко вписаны чернилами в оба экземпляра текста; под греческими буквами проводится одна черта красным карандашом, под прописными — две черты черным карандашом снизу, над строчными — также две черты черным карандашом сверху. Карандашом должны быть обведены полукругом индексы и показатели степени. Резюме представляются на отдельных листах. В статье не должно быть исправлений и дополнений карандашом или чернилами.

10. Список цитированной литературы должен быть отпечатан на отдельном листе в следующем порядке. Вначале пишутся инициалы, а затем — фамилии автора. Если цитирована журнальная работа, указываются сокращенное название журнала, том, номер, год издания. Если автор считает необходимым, он может в конце указать и соответствующие страницы. Список цитированной литературы приводится не по алфавиту, а в порядке цитирования в статье. При ссылке на литературу в тексте или в сносках номер цитируемой работы помещается в квадратные скобки. Не допускается вносить в список цитированной литературы работы, не упомянутые в тексте. Не допускается также цитирование неопубликованных работ. В конце статьи, после списка цитированной литературы, автор должен подписаться и указать место работы, занимаемую должность, точный домашний адрес и номер телефона.

11. Краткое содержание всех опубликованных в «Сообщениях» статей печатается в реферативных журналах. Поэтому автор обязан представить вместе со статьей ее реферат на русском языке (в двух экземплярах).

12. Автору направляется корректура статьи в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или печатать ее без визы автора.

13. Автору выдается бесплатно 10 оттисков статьи.

(Утверждено Президиумом Академии наук Грузии
6.2.1969; внесены изменения 10.2.1992)

Адрес редакции: Тбилиси 60, ул. Кутузова, 19, телефоны: 37-22-16, 37-86-42,
37-85-61

Почтовый индекс 380060

№ 360 15 333.
ЦЕНА 15 КУП.

Ур 10/3

ИНДЕКС 76181

УДК 62-50
62-101033